

# კასპის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

30 ივნისი 2022

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელმა სიმონ გულედანმა კასპის მუნიციპალიტეტში, რენე-ჩობალაურის დასრულებული, სოფელ ბოჭამისა და ქალაქ კასპის შიდა გზების მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. რენე-ჩობალაურის გზის რეაბილიტაცია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1 336 000 ლარით დაფინანსდა და ჯამში, 3,8 კმ. გზის მონაკვეთი რეაბილიტირდა. სოფელ ბოჭამში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ბიუჯეტი 1 225 655 ლარს შეადგენს. პროექტის ფარგლებში 2,5 კმ. გზის მონაკვეთი რეაბილიტირდება. რაც შეეხება ქალაქ კასპის შიდა გზების მონესრიგებას, ნელს მათი რეაბილიტაციის მიზნით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი და სამუშაოები შემოდგომისთვის დასრულდება. შემოდგომისთვისვე იგეგმება სოფელ ბოჭამის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებაც. როგორც რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ერთ-ერთი პრიორიტეტია და კასპის მუნიციპალიტეტის გარდა, საგზაო მონყობის სამუშაოები რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებშიც ინტენსიურად მიმდინარეობს.